

# ინტერნეტ ოლიმპიადა 2014

---

ნებისმიერ საგანში ტესტის მაქსიმალური ქულაა 25.

*ტესტის პასუხების ფურცლის ელექტრონული ვერსია განთავსდება ვებ-გვერდზე [exam.ge](http://exam.ge), ოლიმპიადის დაწყებისთანავე.*

## ტესტის ნიმუში და შეფასების სქემა

### ქართული ენა და ლიტერატურა

**დავალება 1-3.** მოცემულია მონაკვეთი ნაწარმოებიდან. თქვენ უნდა გასცეთ პასუხი ამ მონაკვეთიდან გამომდინარე დასმულ შეკითხვებს.

შეფასების სქემა:

ნებისმიერი, ფაქტობრივად ზუსტი და აზრობრივად სწორი პასუხის შემთხვევაში, რომელიც არ შეიცავს გრამატიკულ ან ლიტერატურულ შეცდომებს დაიწერება 1 ქულა.

დავალება 1-3-ის მაქსიმალური ქულაა: 3

**დავალება 4.** არგუმენტირებული ესე.

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული პირობა და არგუმენტირებულად, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ნაწერი, რომელიც არ უპასუხებს სათაურს არ გასწორდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 15.

**დავალება 5.** წერითი დავალება.

თქვენი ვალდებული ხართ გაიხსენოთ მოცემული ლიტერატურული ნაწარმოები და იმსჯელოთ, მოცემული პერსონაჟის მხატვრული სახის შესახებ.

დავალების მაქსიმალური ქულაა: 7

ქართული ენის ტესტის მაქსიმალური ქულაა: 25. გისურვებთ წარმატებას!

ინგლისური ენა / რუსული ენა

დავალება 1-3

მოცემულია გარკვეული სახის ინფორმაცია, თქვენი მიზანია 3 სავარაუდო პასუხიდან აირჩიოთ მხოლოდ ერთი სწორი. სწორი პასუხი იქნება მოცემული ინფორმაციის პერიფრაზი

დავალების მაქსიმალური ქულაა: 3

დავალება 4-10

მოცემული იქნება გარკვეული თემატიკის ტექსტი B1.1 სირთულის, თქვენი მიზანია ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვროთ ქვემოთ მოცემული დებულებები იქნება მართებული თუ მცდარი.

დავალების მაქსიმალური ქულაა: 7

დავალება 11

მოცემული იქნება ტექსტი, სადაც თქვენ უნდა ჩასვათ შესაბამისი სიტყვა ან არტიკლი და ა.შ

დავალების მაქსიმალური ქულაა: 15

(გაითვალისწინეთ, მე-11 დავალებაში თუ არ დააფიქსირებთ პასუხს დაგეწერებათ 0 ქულა, თუ თქვენს მიერ დაფიქსირებული პასუხი არ აღმოჩნდება მართებული მაშინ თქვენ დაგაკლდებათ 0.2 ქულა, ანუ დაგეწერებათ -0.2 ქულა)

ინგლისური ენის ტესტის მაქსიმალური ქულაა: 25.

გისურვებთ წარმატებას!

## მათემატიკა

მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტში მოცემული იქნება 10 დავალება.

შეფასების სქემა:

დავალება N1 – 1 ქულა

დავალება N2 – 1 ქულა

დავალება N3 – 2 ქულა

დავალება N4 – 2 ქულა

დავალება N5 – 2 ქულა

დავალება N6 – 2 ქულა

დავალება N7 – 3 ქულა

დავალება N8 – 3 ქულა

დავალება N9 – 3 ქულა

დავალება N10 – 6 ქულა

ერთ და ორ ქულიანი დავალებები იქნება დახურული დავალებები, ანუ 4 ან 5 სავარაუდო პასუხიდან თქვენ უნდა აირჩიოთ 1 სწორი.

(დაიმახსოვრეთ, არასწორი პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში დაგეწერებათ -0.2 ქულა, ანუ დაგაკლდებათ 0.2 ქულა)

სამ ქულიანი დავალებები არის ღია ტიპის, თქვენ მოგეთხოვებათ, რომ დააფიქსიროთ მხოლოდ პასუხი. (გამოთვლის პროცესი არ შემოწმდება)

ბოლო მე-10 დავალება ანუ 6 ქულიანი დავალება არის ღია ტიპის, თქვენ მოგეთხოვებათ დაწეროთ გამოთვლის პროცესი.

მათემატიკის ტესტის მაქსიმალური ქულაა: 25

გისურვებთ წარმატებას!

## გეოგრაფია

**დავალება 1-10** არის დახურული ტიპის, თქვენ მოგეთხოვებათ 4 პასუხიდან აირჩიოთ მხოლოდ ერთი სწორი.

დავალების 1-10 მაქსიმალური ქულაა 10.

**დავალება 11-12** არის შესაბამისობის დადგენის ტიპის.

**მიზანი:** დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის  
**დავალების 11,12 მაქსიმალური ქულაა:4**

**დავალება N13.** მოცემულია სურათი, რომლის მიხედვითაც უნდა უპასუხოთ შეკითხვას. მოიყვანეთ არგუმენტები. პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობას და აზრობრივად გამართული იქნება შეფასდება 4 ქულით.

**დავალება N14.** მოცემულ დავალებაში მოცემულია ქვეყნის კონტურული რუკები. თქვენ უნდა გამოიცნოთ, რომელი ქვეყანაა მოცემული მასზე. დავალების მაქსიმალური ქულაა 5. თითოეული კონტურის გამოცნობის შემთხვევაში დაგეწერებათ 1 ქულა. პასუხის არ გაცემის შემთხვევაში 0 ქულა. არასწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა, ანუ დაგეწერებათ -1 ქულა.

**დავალება N15.** ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტექსტს, ასევე გაეცანით მოცემულ ფოტომასალას, ამ დავალებებში (15-16) თქვენ გევალებათ ამოიცნოთ რომელ კონტინენტზე/ქვეყანაზე არის საუბარი. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

**გეოგრაფიის ტესტის მაქსიმალური ქულაა: 25**

**გისურვებთ წარმატებას!**

## ისტორია

**დავალება 1-5.** არის დახურული ტიპის, თქვენ მოგეთხოვებათ 4 პასუხიდან აირჩიოთ მხოლოდ ერთი სწორი.

**დავალების 1-5 მაქსიმალური ქულაა 5.**

**დავალება 6-10 არის ქრონოლოგიის განსაზღვრა.** ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით, ხოლო ისტორიული მოვლენები – შესაბამისი თანმიმდევრობით. თითოეული დავალება ფასდება 2 ქულით.

**დავალება 11.** შეცდომის პოვნა

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთმოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. შეცდომის აღმოჩენისა და გასწორების შემთხვევაში დაგეწერებათ 1 ქულა, აღმოჩენისა და არასწორად ან არ გასწორების შემთხვევაში 0.5 ქულა. არასწორად პოვნის შემთხვევაში დაგაკლდებათ 0.5 ქულა, ანუ დაგეწერებათ -0.5 ქულა. დავალების მაქსიმალური ქულაა 6 (4+2)

**დავალება 12.** ინფორმაციის იდენტიფიცირება.

ყურადღებით დააკვირდით ქვემოთმოტანილ ფოტოებს და ამოიცანით ისტორიული პიროვნება. გახსოვდეთ, თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

ისტორიის ტესტის მაქსიმალური ქულაა: 25

გისურვებთ წარმატებას!